საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-705

19/05/2021

ქ. თბილისი

„საგარეჯოს და გუჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანი საზღვარი(ს5) საავტომობილო გზის, საგარეჯოს-ბაკურციხის გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N 2-712 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საგარეჯოს და გუჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანი საზღვარი(ს5) საავტომობილო გზის, საგარეჯოს-ბაკურციხის გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N 2-712 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №28 (31.07.2018).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს და გუჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი- აზერბაიჯანი საზღვარი(ს5) საავტომობილო გზის, საგარეჯოს-ბაკურციხის გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს N 2-712 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი